


დეწნილთა ინტეგრაცია განათლების ბზით



მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის განმასორციელებელი ორგანიზაციაა განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM), ხოლო პარტნიორი ორგანიზაციები არიან: ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC), ასოციაცია “სკოლა, ოჯახი, საზოგადოება” (SFSA) და საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრი (HDCG). პროექტი ხორციელდება ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწეოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დეწნილთა სკოლების წარმომადგენელთა ჩართვას დეწნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის განათლების კომპონენტის სამოქმედო გეგმის/პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

პროექტი განხორციელდება საქართველოს 5 ქალაქში/რეგიონში: თბილისი, ზუგდიდი, გორი, ქუთაისი, კოდორი. მისი ხანგრძლივობა არის 18 თვე (თებერვალი 2007- აგვისტო 2008) .

პროექტის სამიზნე აუდიტორია არის: 150-მდე დეწნილი პედაგოგი, 24 სკოლის (აქედან აფხაზეთის 16 სეგრეგირებული სკოლა; კოდორის ხეობის 8 სკოლა) ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს 100-მდე წარმომადგენელი; დეწნილთა და დეწნილთა განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების 70-მდე წარმომადგენელი;

პროექტის ბენეფიციარები არიან: დეწნილი მოსწავლეები/მათი მშობლები, პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს წევრები, დეწნილთა და დეწნილთა განათლების თემაზე მომუშავე ა/ო-ები, დეწნილი ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე შეიქმნება დეწნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის განათლების საკითხების იმპლემენტაციით დაინტერესებულ ინდივიდთა და ჯგუფთა ქსელი, რომლის ფარგლებშიც საპროექტო ქალაქებში/რეგიონებში მოხდება საკონსულტაციო ცენტრების ფორმირება და მომზადდება ქსელის ტრენინგთა/ფასილიტატორთა ჯგუფი. მეორე ეტაპზე ქსელი შეიმუშავებს დეწნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის განათლების კომპონენტის სამოქმედო გეგმას, რომელშიც აისახება შემდეგი პრიორიტეტები: დეწნილი მოსწავლეებისა და პედაგოგების ინტერესები დაფინანსების ფორმულაში; დეწნილი პედაგოგებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების გადამზადებისა და „ბაზრის მოთხოვნებთან“ ადაპტირება; აფხაზეთში სახელმწიფო ენების განვითარებისა და კონფლიქტის ზონებში არასახელმწიფო ენების სწავლების სტრატეგია და სხვა. მესამე ეტაპზე ჩატარდება სამოქმედო გეგმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და გეგმის ადეკატირების კამპანია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. ხოლო პროექტის ბოლო ეტაპზე 150 პედაგოგი (მათ შორის 75% დეწნილთა სკოლებიდან) რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად გაივლის ტრენინგს სწავლების ინტერაქტიულ მეთოდოლოგიაში, ხოლო დეწნილთა 16 სკოლისა და კოდორის ხეობის 8 სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლები (100 ადამიანი) გაივლიან ტრენინგს სკოლის მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიაში.

პროექტის საერთო ბიუჯეტი წარმოადგენს 107 540 ევროს, ხოლო ევროკომისიის წვლილი შეადგენს 96 786 ევროს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

მისამართი: ბარნოვის 56, 0179, თბილისი

ტელ/ფაქსი: 91 49 33

საკონტაქტო პირი: ნათია იაშვილი natia.iashvili@gmail.com

www.eppm.org.ge